ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა სარალიძე

წევრები:

ლალი მექერიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ბელა დურგლიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო საღარაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ტურიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ეკა კობიაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ჩავლეიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ხოსროშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232550753

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეფისქალაქი
ფაქტობრივი მისამართი	კასპი. სოფელი მეფისქალაქი. ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა N6
საფოსტო ინდექსი	2602
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skAkhalkalaki@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577275057

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29/05/2025 წლის ბრძანება MES 9 25 0000594982
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 26 და 27 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი მეფისქალაქი (ახალქალაქი), ეკატერინე გაბაშვილის ქ. N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი მეფისქალაქი (ახალქალაქი), ეკატერინე გაბაშვილის ქ. N6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი მეფისქალაქი (ახალქალაქი), ეკატერინე გაბაშვილის ქ. N6

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს, სკოლაში ვიზიტამდე ჯგუფმა განახორციელა სამუშაო შეხვედრა Teams პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შემუშავდა სამუშაო განრიგი და ვიზიტამდე სკოლიდან გამოსათხოვი დამატებითი

დოკუმენტაციის ნუსხა. ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად. სკოლა შედგება ერთ მისამართზე არსებული ორი კორპუსისაგან (სამსართულიანი და ორ სართულიანი) და ორი დამხმარე შენობა-ნაგებობისაგან. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად მოხდა ეზოს, სასწავლო კორპუსებისა და დამხმარე კორპუსების შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება, ექსპერტები შეხვდნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები Teams პლატფორმის საშუალებით შეხვდენენ საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს . ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში .

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროის ფარგლებში განსაზღვროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მიზნის შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენა ნასამართლეობის შესახებ, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს სკოლის შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ასევე უზრუნველყოს სკოლის ორსართულიანი კორპუსის აღჭურვა ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროის ფარგლებში უზრუნველყოს ორსართულიან კორპუსში სველი წერტილების მოწყობა და ასევე განსაზღვრულ ვადაში განაახლოს სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში სათანადოდ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მატერიალური რესურსებით შევსება და მისი სრულყოფილი მოწყობა

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში სათანადოდ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მატერიალური რესურსებით შევსება და მისი სრულყოფილი მოწყობა

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.6	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს	*2024* წლის *7* აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სოფელ ახალქალაქს „მეფისქალაქი“ ეწოდა, სასურველია სკოლამ სახელწოდებაში სოფლის ახალი დასახელება გაითვალისწინოს.
ინდიკატორი N1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია სკოლამ „მისიის, ხედვისა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნოს მონიტორინგისა და შეფასების რომელ ალტერნატიულ გზას გამოიყენებს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და	სასურველია სკოლამ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გამოაცხადოს კონკურსი ფიზიკის ვაკანტური ადგილის შესავსებად.

	დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისის მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სასურველია სკოლამ წიგნთა ფონდი აწარმოოს ელექტრონულადაც.
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანომდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სასურველია სკოლამ საქმისწარმოების წესში გაითვალისწინოს ელექტრონული საქმისწარმოებაც. ასევე სასურველია მობილობით

		გადასული მოსწავლეთა პირადი საქმის ასლები ინახებოდეს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	დაწყებითი საფეხური: სასურველია, თითოეულ საგანში შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები, სადაც ჩანს გამოყენებული აქტივობები, თან ერთვოდეს კურიკულუმების ჩარჩოს. ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმის თემების გაწერისას იხელმძღვანელონ სტანდარტით; ქართულისა და მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ რესურსები და ქვეცნებები. ქართულის კურიკულუმში შინაარსობრივად გაასწორონ საკითხისა და კონტექსტ–მაგალითის სვეტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია მოსწავლეთა კითხვარი ფოკუსირებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთათვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმიტ განსაზღვრულ მიზნებს	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, დაწყებით საფეხურზე, თითეულ თემასთან მიეთითოს, თუ რომელი თემატური ბლოკის ფარგლებში ხორციელდება. ზოგიერთ თემას, რომელსაც თემატური ბლოკის სახელი ჰქვია სასურველია შეეცვალოს დასახელება, აუცილებელია თითოეული თემისთვის გაიწეროს იმ თემის ფარგლებში დასამუშავებელი კონკრეტული ცნებები და ქვეცნებები, რომლებიც მხოლოდ იმ თემას მიემართება. მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი პროდუქტი. დაწყებით საფეხურზე, ხელოვნებაში გაიზარდოს თემების რაოდენობა.

		მათემატიკის კურიკულუმებში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	დაწყებითი საფეხური: სასურველია, თითოეული საგნის კურიკულუმს დაემატოს მეტი რესურსი.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, პრინციპებს, მიზნენბსა და ამოცანებს	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აუცილებელია უფრო კონკრეტული, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაფუძნებული და ამა თუ იმ დავალების ტიპზე (მაგ., ესსე, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, პრეზენტაცია და სხვა.) მორგებული რუბრიკების შემუშავება. დაწყებითი საფეხური: სასურველია, თითოეული საგნის მასწავლებელმა შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმში ასახული ყველა თემა განხორციელდეს კურიკულუმის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში სასურველია შეფასების რუბრიკები იქმნებოდეს კონკრეტული დავალებისთვის და ეყრდნობოდეს შესაბამის ცნებებსა და ქვეცნებებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა

ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია მოსწავლეთა კითხვარი ფოკუსირებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთათვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მათემატიკის კურიკულუმებში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, აგრეთვე, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, პრინციპებს, მიზნენბსა და ამოცანებს	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აუცილებელია უფრო კონკრეტული, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაფუძნებული და ამა თუ იმ დავალების ტიპზე (მაგ., ესე, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, პრეზენტაცია და სხვა.) მორგებული რუბრიკების შემუშავება.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმში ასახული ყველა თემა განხორციელდეს კურიკულუმის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში სასურველია შეფასებ რუბრიკები იქმნებოდეს კონკრეტული დავალებისთვის და ეყრდნობოდ შესაბამის ცნებებსა და ქვეცნებებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია მოსწავლეთა კითხვარი ფოკუსირებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთათვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება.

ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმიტ განსაზღვრულ მიზნებს	მათემატიკის კურიკულუმებში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, აგრეთვე, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, პრინციპებს, მიზნენბსა და ამოცანებს	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აუცილებელია უფრო კონკრეტული, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაფუძნებული და ამა თუ იმ დავალების ტიპზე (მაგ., ესსე, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, პრეზენტაცია და სხვა.) მორგებული რუბრიკების შემუშავება.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმში ასახული ყველა თემა განხორციელდეს კურიკულუმის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში სასურველია შეფასების რუბრიკები იქმნებოდეს კონკრეტული დავალებისთვის და ეყრდნობოდეს შესაბამის ცნებებსა და ქვეცნებებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორი 1.2.1.4 შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

მესამე სტანდარტის მიმართებაში ინდიკატორები 3.1.2.3; 3.4.1.1 არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ . არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორები 3.1.2.3 შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.
სკოლის მიერ ვიზიტამდე წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.1 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორი 2.2.2.3 შეფასდა როგორც „ მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მისია და ხედვა ასახულია სკოლის სტრატეგიული გავითარების შვიდწლიანი გეგმის, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის ვებ.გვერდზე ატვირთულ დოკუმენტში. სკოლის მისია მოსწავლის პიროვნული განვითარება, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებაა. სკოლის ხედვა კი სწავლების მაღალი ხარისხის, ეროვნული თვითშეგნების და ევროპული იდენტობის მოქალაქის აღზრდა, ინტელექტუალური, სოციალური და კულტურული ჩამოყალიბებისათვის, კრეატიული პოტენციალის გამოვლენა და განვითარებისათვის სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

მისიიდან გამომდინარე სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რადგან მისიაში სკოლა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსწავლეების პიროვნულ ზრდას, მათ განვითარებას, ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, ამასთანავე იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტიან გარემოში ადაპტაციას. ხედვა კი ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა და ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამების განხორციელებაა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღწერილი აქვს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული მხარეები: სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და კვლევის შედეგების გათვალისწინებით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტის შემუშავებას, სასკოლო საზოგადოებასთან წარდგენას, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ცვლილებების შეტანას და სკოლის დირექტორისათვის წარდგენას. ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების შესახებ და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმი, რომელშიდაც აღწერილია დოკუმენტის პროექტის სასკოლო საზოგადოების გაზიარებისათვის რეკომენდებული მექანიზმები: ელექტონული ფოსტა ან/და ღია შეხვედრა და საჯარო განხილვა ან/და სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს სხდომა ან/და სკოლის ვებ-გვერდი ან და სოციალური გვერდი ან/და საინფორმაციო დაფა. ამ ეტაპზე სკოლას მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებული აქვს სკოლის შენობის საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ.გვერდზე და მიღებული უკუკავშირის შედეგად მზად არის მასში ცვლილების შესატანად.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტის ვიზუალური მხარე შექმნილია მოსწავლეების მიერ და განთავსებულია სკოლის შენობის პირველი სართულის საინფორმაციო დაფაზე და ასევე სკოლის ვებ.გვერდზე skolebi.emis.ge.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, 2010 წლის საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა“, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: ***2024*** წლის ***7*** აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით**,** სოფელ ახალქალაქს **„**მეფისქალაქი**“** ეწოდა, სასურველია სკოლამ სახელწოდებაში სოფლის ახალი დასახელება გაითვალისწინოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ვებ.გვერდი;

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვისას გასათვალისწინებელი შემდეგი პრინციპები: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალეობა, ანგარიშვალდებულება. მეთოდოლოგიის მიხედვით (თავი 8. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია) სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, პროცესი იწყება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებით .
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ განვითარების შვიდწლიან გეგმის მიხედვით წარმოდგენილია სტრატეგიული მიმართულებები როგორიცაა: სკოლის ორგანიზაციული განვითარება და საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავება, სკოლის

მომსახურებების გაუმჯობესება, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ავტორიზაციის პროცესების წარმატებით განხორციელება და საინფორმაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამების სიღრმისეულად სწავლება და არაფორმალური განათლების ხელმისწავდომლობის გაუმჯობესება. ასევე თითოეული სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი მიზანი და ამოცანები ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაზღვრული მიზნები და მისი შესაბამისი ამოცანები ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, აქტივობის შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირი/ორგანო, შესრულების ინდიკატორები, მაგრამ სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევი შესაბამისი რესურსი.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2025 - 08.09.2025 წ. პერიოდი. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.
რეკომენდაცია : სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროის ფარგლებში განსაზღვროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მიზნის შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლი წლის ერთწლიანი სამოქმედო; გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-12 თავი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში სკოლას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებული არ არის ამ ეტაპზე სკოლა მონიტორინგის რომელ ალტერნატივას იყენებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
რჩევა: სასურველია სკოლამ „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნოს მონიტორინგისა და შეფასების რომელ ალტერნატიულ გზას გამოიყენებს.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის და გაზიარების პროცესის სქემას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგისა და შეფასების ალტერნატიული გზების პუნქტები ითვალისწინებს ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ვებგვერდზე განთავსებას და ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება მეთოდოლოგიის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის მეოთხე პუნქტში აღნიშნულია, რომ შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო დოკუმენტში სკოლის სტრუქტურა წარმდგენილია შემდეგი სახით: სამეურვეო საბჭო, დირექცია- დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი, მანდატური, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ასევე სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და უფლება-მოვალეობები“, რომელშიც აღწერილია სრტუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია/მოვალეობები.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დასტურდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, სკოლის შინაგანაწესით, სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები/პირების ფუნქციების დოკუმენტში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის გაწერილი ფუნქციები უზრუნველყოფს მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და უფლება-მოვალეობები;
პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სტრუქტურული ერთეულების ჩარჩო დოკუმენტი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

პერსონალის მართვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს სკოლაში კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მასწავლებლის შერჩვას, ვაკანტური ადგილის შესახებ კონკურსის გამოცხადების პირობებს, პერსონალის კვალიფიკაციას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, შესარულებული სამუშაოს შეფასებას, თანამშრომელთა მოტივაციას. შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაოს ხანგრძლივობის, სამუშაო ადგილზე გამოცხადების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, შრომის პირობების დაცვის, წახალისების, დისციპლინური წარმოების საკითხებს და ა.შ. ხელშეკრულებაში ასახული არის მხარეთა უფლება - მოვალეობები, შვებულების გაცემის წესი, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ა. შ . სკოლის პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლისათვის საჭირო კადრის შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებითაც სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური

პოზიციის არსებობის შემთხვევაში არსებული ვაკანსია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე, საგნობრივი კათედრის ან კვალიფიკაციის გათვალისწინებით. როცა შიდა კონკურსი ვერ უზრუნველყოფს საკადრო დეფიციტის შევსებას, ცხადდება ღია კონკურსი. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლა საჭირო კადრის შერჩევის დროს ცდილობს იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი კადრის შერჩევის პროცედურის მიხედვით. კადრის შერჩევა ეყრდნობა საკონკურსო პრინციპებს, რისთვისაც სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საკონკურსო კომისიის შექმნის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, საკონკურსო ვადებისა და ეტაპების განსაზღვრის შესახებ. კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პედაგოგთა დასაქმების ვებგვერდზე teachersjob.ge. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის წესი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის კონკურსის გამოცხადების ინფორმაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: სკოლის დასახელება, ვაკანტური თანამდებობის დასახელება, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ, შრომის ანაზღაურების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაოს დაწყების თარიღი, განცხადების წარდგენის ბოლო ვადა.
პერსონალთა პირად საქმეში გათვალისწინებულია ინფორმაცია პერსონალის განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ.
სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები ნასამართლეობის შესახებ, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრულია 25.07.2025-15.09.2025 წლის პერიოდი. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენა ნასამართლეობის შესახებ, „სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისა და თანამშრომლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს აქვთ ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული კვალიფიკაცია. გამონაკლისს წარმოადგენს ფიზიკის შემცვლელი მასწავლებელი, რომელსაც აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სკოლას ოთხჯერ აქვს გამოცხადებული კონკურსი სკოლაში არსებული ფიზიკის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულია 27 მასწავლებელი (7 წამყვანი, 19 უფროსი, 1 შემცვლელი მასწავლებელი).

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გამოაცხადოს კონკურსი ფიზიკის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში არსებული კოლეგიალური ორგანოები საგანმანთლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის გუნდური მუშაობის პრინციპით ფუნქციონირებენ. პედაგოგიური საბჭო ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამშრომლებს შორის კოორდინირებულ მუშაობას. საგნობრივი კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებული პირების წახალისების ფორმებს. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალი

პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან დიდი მოცულობის სამუშაო შესრულებისათვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატეული გამოცდილების გაზიარება. პედაგოგები გამოცდილების გაზიარების მიზნით თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ საკუთარ გამოდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს. იღებენ მონაწილეობას ევროპული სკოლების eTwinning პლატფორმაზე ეროვნული და საერთაშორისო პროექტების განხორციელების, Erasmus სასწავლო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის, ეროვნულ და რეგიონალურ კონფერენციებში მონაწილეობისა და გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, სკოლის ფეისბუქ გვერდი რეგულურად აზიარებს წარმატებულ გამოცდილებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფისა დებულება;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სკოლასა და პერსონალს შორის დადებული ხელშეკრულებები;
სკოლის პერსონალთა პირადი საქმეები;
მასწავლებლის ვაკანსიის ვებ.გვერდი.
შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს , რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება განსაზღვრავს ჯგუფის წევრების მერ მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა და პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმასა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და ამასთანავე დამტკიცებულია ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვითაც ჯგუფის წევრების მიერ ხდება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლი ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარება. თანამშრომლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით გადამზადებისათვის ტრენინგებზე რეგისტრაციასა და დასწრებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-18 მუხლში - ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტურად მართვას

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა მხარს უჭერს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. საჭიროებიდან გამომდინარე სთავაზობს მათ რესურსებს, ტრენინგებს. ეხმარება მათ პროფესიულ წინსვლაში. სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, სოციალურ გვერდზე განთავსება

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი - შეფასება და რევიზიის მიხედვით. სასწავლო წლის

დასაწყისში სკოლაში ტარდება კათედრების შეხვედრები, დგება წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლის დირექტორი შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელსაც ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით. სემესტრის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მიღწევების განხილვა და შედეგების ანალიზი. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების და რეკომენდაციის სამომავლოდ გათვალიწინების მიზნით. წლის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება პედაგოგებისა და სკოლის დირექტორის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ შემუშავებული ანგარიშის წარდგენა. ამასთანავე კალენდალური წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამურვეო საბჭოს წარუდგენს სასწავლო პროცესის ანგარიშს. რეკომენდაციები გათვალისწინებულია მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებას და დარეგულირებას ახორციელებს ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით (მუხლი 4) სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს რაზე აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შრომის შინაგანაწესის 22-ე მუხლი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას

იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. სკოლის ადმინისტრაციასთან და კლასის დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას. შინაგანაწესი გამოკრულია პირველი სართულის საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა დისციპლინური დევნა, დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესები. გათვალისწინებით. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციათა დოკუმენტის მიხედვით სკოლაში სამეურვეო საბჭო განიხილავს დისციპლინური კომიტეტის შესახებ საჩივრებს, მათ შორის საჩივრებს, რომლებიც ეხება სკოლის დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები
სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელის პირველი თავი განიხილავს მოსწავლისა და მოსწავლის მეურვის უფლებებს, ხოლო მეორე თავი სკოლის პერსონალის კანონიერ უფლებებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ხარისხის განვიტარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ხარისხის განვიტარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის facebook -ის სოციალურ გვერდებს. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი) სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით.
სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე.
სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები, სკოლა ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის მისაღებად აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას, როგორიცაა : სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი

წარმომადგენელი. პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო ირჩევს თავის წარმომადგენლის დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს. სკოლაში არსებობს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი;
სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის ორგანიზაციული სტრუქტურისა და უფლება-მოვალეობების დოკუმენტი.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 2 მანდატური. სკოლის ერთი კორპუსი აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით, ხოლო სკოლის მეორე კორპუსში, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და თავისუფალი ფართი მოსწავლეებისათვის აქტივობების განსახორციელებლად ვიდეო სათვალთვალო სისტემა განთავსებული არ არის. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში აკონტროლებს სართულის მორიგე მასწავლებლები. დერეფნებში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის სია. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა ქმნის მრჩეველთა საბჭოს. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N2-20 26.03.2025) განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა (04/04/2025 N72501019004). შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ სკოლამ 12/06/2025წ. წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, ასევე 16/06/2025 წ. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. 29/05/2025 წელს სკოლამ წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს საჯარო სკოლის შენობ(ებ)-ის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 03/04/2025 -03/05/2026 წწ. პერიოდი.
ვიდეო სათვალთვალო სისტემით სკოლის მეორე კორპუსის აღჭურვის შესახებ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია 25.07.2025 - 25.07.2027 წლები. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს სკოლის შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ასევე უზრუნველყოს სკოლის ორსართულიანი კორპუსის აღჭურვა ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლას ხელშეკრულება დადებული აქვს ექიმთან რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალებათ მანდატურებსა და და მორიგე მასწავლებლებს. უცხო პირთა გადაადგილების კონტროლს უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები და დამლაგებლები. სკოლაში ხდება უცხო პირთა გადაადგილების აღრიცხვა. კლასის დამრიგებლები მათი ფუნქციიდან გამომდინარე, ვალდებულები არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს მასზე რეაგირება. შინაგანაწესში განსაზღვრულია დარღვევის სახეები და შესაბამისი სახდელები. სკოლას შექმნილი აქვს ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-8 მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას ჰყავს2 სპეციალური საჭიროების მქონე პირის ასისტენტი და ფსიქოლოგი, რაც წარმოადგენს დამატებითი შესაძლებლობას მოსწავლეებისათვის და , დაინტერესებულ პირებისათვის საჭიროების შემთხვევაში მიიღონ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება. სკოლის ადამიანისა და პროცესების უზრუნველყოფის პილიტიკის დოკუმენტის ერთ-ერთი მიზანია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, ახორციელებს აქტივობებს, პროექტებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის მე-9 მუხლი ითვალიწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. სკოლის სასწავლო კორპუსის სამივე სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლის მეორე კორპუში არ არის სველი წერტილები, კორპუსის სველი წერტილებით უზრუნველყოფისათვის სკოლამ 16/06/2025წ. წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დოკუმენტი, რომლიც ითვალისწინებს პერსონალური დაცვის ოფიცრის უფლება- მოვალეობებს. სკოლას 2024 წლის 1 ივნისიდან ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამახურის საიტზე.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში , არქივდება და გადაეცემა ქალაქ კასპის რაიონულ არქივს. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ. ვიზიტის დროს გასაუბრებისას და შემოწმების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;

სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ.გვერდი;
სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დირექტორის მიწერილობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;
სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დირექტორის მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან;
სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დირექტორის მიწერილობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან;
დამრიგებლის მუშაობის დებულება;
სსიპ - კასპის მინიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით;
სკოლასა და დამლაგებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 05/08/2010 წელს. სკოლა მდებარეობს 8092.00 კ. მ მიწის ფართობზე. სკოლა სრულად რეაბილიტირებულია 2024 წელს და რეაბილიტაციის შემდეგ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები საჭიროებს განახლებას. აზომვითი ნახაზების განახლებისათვის სკოლას წერილობით აქ მიმართული სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის. სკოლის ეზოში განთავსებულია ოთხი შენობა: ორი სასწავლო კორპუსი, ერთი გათბობის სისტემის შენობა და ამასთანავე განთავსებულია წყლის ავზის შენობა სახანძრო უსაფრთხოებისათვის. ეზოში მდებარეობს რეაბილიტირებული სპორტული მოედანი.
სამსართულიან სასწავლო კორპუსში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, მათ შორის პირველ სართულზე 3 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე 4 საკლასო ოთახი, მესამე სართულზე 5 საკლასო ოთახი. სკოლის შენობაში გარდა საკლასო ოთახებისა ასევე არის: სპორტული დარბაზი, ორი გასახდელი, მანდატურის ოთახი, საქმისმწარმოებლის ოთახი, დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, რესურს ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, უცხო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კაბინეტები, დარაჯის ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი სივრცე, სამზარეულო/სასადილო სივრცე, ფსიქოლოგის ოთახი. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, სკოლის სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის, ბიჭებისა და შშმ პირისთვის. სკოლას აქვს ლიფტი და პანდუსი.
ორსართულიან კორპუსში განთავსებულია ბიბლიოთეკა და თავისუფალი სივრცე არაფორმალური განათლების მიმართულებით.
სკოლის სამსართულიანი შენობის მატერიალური რესურსი იძლევა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საშუალებას მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ ორსართულიან შენობაში არ არის განთავსებული სველი წერტილები.
სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა ორსართულიანი კორპუსის სველი წერტილებით უზრუნველყოფა 23/04/2025 წ - 23/04/2027 წ. პერიოდში. ასევე განსაზღვრა სკოლის ამონაწერის განახლება 25.07.2025 – 30.12.2025წლის ვადაში.
შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროის ფარგლებში უზრუნველყოს ორსართულიან კორპუსში სველი წერტილების მოწყობა და ასევე განსაზღვრულ ვადაში განაახლოს სკოლას ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი ოთახი, სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა სასკოლო საზოგადოების წევრებს სთავაზობს ორსართულიან კორპუსში სხვადასხვა სივრცეებს სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი სამზარეულო, სადაც მშობლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სასწავლო აქტივობები: საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულოსთვის დამახასიათებელი კერძების მომზადება/დაგემოვნება და ასევე ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვანი თემისთვის საინტერესო აქტივობები (აზერბაიჯანული, ოსური, ქართული, სომხური სამზარეულოს ელემენტების გაზიარება)

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის მეორე კორპუსში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: წიგნებით, სამკითხველო ინვენტარით, თაროებით, კომპიუტერით, პროექტორით, კარადით და წიგნების გასაცემი მაგიდით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრული თვალსაჩინო ადგილას. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესითა და მიმდინარეობს ანბანური/თემატური წიგნების კატალოგების წარმოება. ამავე კორპუსში გამოყოფილია ცალკე სივრცე სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია სკოლამ წიგნთა ფონდის აღრიცხვა აწარმოოს ელექტრონულადაც.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ჰქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სამივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. ასევე ლიფტი, რომელიც იძლევა ეტლით მოსარგებლე პირებისათვის სკოლის სამივე სართულზე არსებული რესურსების თანაბრად გამოყენების საშუალებას. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების

განსახორციელებლად აქვთ სააქტო დარბაზი ეკრანით, ხმის გამაძლიერებლით, პროექტორით და საჭირო ინვენტარით. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. სპორტული აქტივობებისათვის მოსწავლეები იყენებენ შიდა და გარე სპორტულ მოედნებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ჰქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ორსართულიან კორპუსში განთავსებულია ,,მშვიდობის სახელოსნო'', სადაც სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს, თემის ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ არტ თერაპიის საშუალებით ხატვა, ძერწვა, კერვა, მოუსმინონ მუსიკას, ნახონ ფილმი, დაგეგმონ პროექტი, შეხვდნენ მათთვის საინტერესო ადამიანებს საინტერესო და აქტუალურ თემებზე სასაუბროდ. ამ სივრცეში განთავსებულია ასევე მოლბერტები, ხატვის და ძერწვისთვის საჭირო რესურსები, 2 საკერავი მანქანა, ხმის გამაძლიერებელი და აქტივობებოისათვის საჭირო ინვენტარი. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს თავისუფალი სივრცე, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობას, მასწავლებლებს, თემის ახალგაზრდებს და დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა დაკავდნენ მათთვის საინტერესო აქტივობებით, გაუზიარონ სასკოლო საზოგადოებას საკუთარი ინიციატივები.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ინვენტარიზაცია;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. კომპიუტერებით და პრინტერებით აღჭურვილია ადმინისტრაციის ოთახები, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის ოთახი, ბიბლიოთეკა. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილი კომპიუტერებით. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა. კერძოდ: 47 პერსონალური კომპიუტერი, 4 პროექტორი, 2 პრინტერი.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლაში უზრუნველყოფს კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს განრიგს, რომელიც თავსდება კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. უქმე დღეებში სივრცე გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში. სკოლამ წარმოადგინე 2024 წლის 28 ნოემბერს ბრძანება N 2-113-ით დამტკიცებული „კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი“.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ინვენტარიზაცია;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის წესს, ასევე მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე, ცნობებზე, ოქმებზე და სხვ. მუშაობის წესს. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან, მაგრამ საქმისწარმოების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში არ არის აღწერილი ელექტრონული საქმისწარმოება, მიუხედავად იმისა რომ სკოლა საქმისწარმოებას ასრულებს ელექტრონულადაც Eflow-ს საშუალებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად eflow -ს სისტემაში აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას, მაგრამ სკოლაში მოსწავლის პირადი საქმის ასლი არ ინახება.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებილი.
რჩევა: სასურველია სკოლამ საქმისწარმოების წესში გაითვალისწინოს ელექტრონილი საქმისწარმოებაც. ასევე სასურველია მობილობით გადასული მოსწავლეთა პირადი საქმის ასლი ინახებოდეს სკოლაში შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow. სადაც ხდება შემოსული და გასული კორესპონდენციის ელექტრონული წარმოება, დირექტორის ბრძანებების, სამსახურეობრივი ბარათების და წერილების ასახვა. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილი არის ანგარიშები. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: skAkhalkalaki@mes.gov.ge
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებილი.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. Eschool-ის ბაზაში სკოლისათვის გამოყოფილი ყველა სივრცე შევსებულია შესაბამისი ინფორმაციით. ინფორმაციის განთავსება ხდება დადგენილი წესითა და ვადებით.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა კასპის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი; Eschool -ის და Eflow - პლატფორმის ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლის აქვს ვებ გვერდი მისამართით: https://skolebi.emis.ge/, სადაც განთავსებულია გარკვეული სახის ინფორმაცია. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს Facebook-ის სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი. ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. ასევე აქტიურად იყენებენ Gmail.com, teachers.gov.ge ელექტრონულ ფოსტებს და Teams პლატფორმას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს, სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია სკოლის ოფიციალური გვერდიდან.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა აქტიურად იყენებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დროს მიღებულ უკუკავშირს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა, ასევე სოციალური ქსელიდან, სადამრიგებლო კრებებიდან მიღებული უკუკავშირი ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის უფრო ეფექტიანად დაგეგმვას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფლებული.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლა სწავლება ახორციელებს ქართლ ენაზე და შესაბამისად სკოლის ვებ.გვერდზე https://bit.ly/4lFLyKW განთავსებული აქვს ინფორმაცია ქართულ ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შეიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებების. ასევე განთავსებულია სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა,სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და უფლება-მოვალეობები, სკოლის საკონტაქო ინფორმაცია, საგანმანათლებლო სტატუსი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი, კარიერული დაგეგმვის პროექტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, პირველკლასელთა ლიმიტები, შინაგანაწესი, სკოლის ჩარჩო დოკუმენტი-მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით, საშტატო განრიგი, სკოლის ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშის დოკუმენტი
ამ ეტაპზე სკოლის ვებ.გვერდზე არ იძებნება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული და სამოქომედო გეგმის ანგარიშები ვერ შეფასდა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ვებ.გვერდი https://bit.ly/4lFLyKW
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლეთა , მასწავლებელთა და მშობელთა კითხვარების ნიმუშები;
სკოლის Facebook გვერდი.

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სახელფასო თანხა. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-

სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. ასევე სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან ერიცხება თანხა დეფიციტის დაფარვის მიზნით. ვიზიტის დროს სკოლის პერსონალთან გასაუბრებითა და სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი და ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.
სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში შესყიდვების გეგმაში შედის ცვლილება კანონის შესაბამისად. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ფინანსური ანგარიშის შესახებ;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ბიუჯეტი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. შინაგანაწესში განსაზღვრული არის მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების ფორმები და ა.შ. სკოლაში შექმნილია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის დაცვის დოკუმენტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კლასის დამრიგებლის მუშაობის დებულება მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს. ასევე სკოლაში შექმნილია მოსწავლის უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი როგორც მოსწავლეთა უფლება - მოვალეობანი, ასევე მშობლის, სკოლის წარმომადგენლების, დირექტორის, სახელმწიფოს ფუნქციები მოსწავლეთა უფლებების დაცვის სფეროში. სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებას იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვაზე. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი სკოლას გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას. გარდა ამისა სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებს მიიჩნევს. სკოლის კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. სკოლასა და მშოველს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სკოლის შინაგანაწესის გაცნობას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე მოსწავლეთა უფლება მოვალეობებს, სასწავლო დღეების, დასვენების დღეების და უქმე დღეების შესახებ ინფორმაციას, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს გაფორმებული ხელშეკრულება;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ჩარჩო დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით,
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებას აწარმოებს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა მოსწავლის მშობლებს /კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს შინაგანაწესს, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ მშობელთა კრებებსა და სოციალური ქსელის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლის შესახებ სიახლეებს მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ეცნობიან მშობელთა კრებებიდან, საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ინფორმაციიდან სკოლის სოციალური გვერდიდან და კლასის დამრიგებლების მიერ შექმნილი დახურული ჯგუფებიდან.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს გაფორმებული ხელშეკრულება;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტი;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებები პირველ კლასში ჩასარიხცი მოსწავლის რაოდენობების განსაზღვრის, სტატუსის აღდგენის შესახებ, პირველ კლასში ცარიცხვის შესახევ, მოსწავლის ამორიცხვის შესახებ.

შეფასება:
- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სასკოლო საზოადოებასთან გასაუბრებით და სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, კერძოდ სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულებით და კლასის დამრიგებლის დებულების განხილვის შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის ვალდებულებას იღებს სკოლა და კლასის დამრიგებელი. დამრიგებლის მიერ ხდება პირველკალსელთა და ამასთანავე სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სკოლის ტერიტორიის დათვალიერება, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის დებულება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსწავლის დახმარება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებასთან შეგუებაში. ტრანზიციის წესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში ტრანზიციის ხელშეწყობა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებილი.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. პირველკლასელებს და სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, ინტერესის და ინდივიდუალობის შესახებ, ამ ინფორმაციას აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით.
ინდიკატორის მოთხოვნმა არის დაკამყოფილებული.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ შექმნილი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი და დამრიგებლის დებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. გასაუბრებით დგინდება, რომ სემესტრის მიმდინარეობისას კლასის დამრიგებელები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობები, მოტივაციის ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სასკოლო ღონისძიებებში და საგანამანთლებლო პროექტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება მათ ღონისძიებების ჩატარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სივრცის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, როგორც სპორტულ ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში. სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელდა პროექტები: „იმიტირებული არჩევნები“, „დემოკრატია იწყება სკოლიდან“, „ადიქცია'' - ადვოკატირების კამპანია“, „მშვიდობის სახელოსნო“. „ეკოკლუბი“, რომელიც ეხმაურება მდგრადი განვითარების მიზნების კალენდრით განსაზღვრულ საერთაშორისო თარიღებს. სკოლა მსგავსი სახის

აქტივობებით ახორციელებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას: ტექნოლოგიების მიმართულებით ქალაქ კასპის ტექნოპარკის ხელშეწყობით განხორციელებულ პროგრამებში ჩართულობა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად განხორციელებული აქტივობები და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა მიერ მიღებული უკუკავშირი, მასწავლებელთა რეფლექსიები ჩატარებული აქტივობების შესახებ, მშობელთა უკუკავშირი საფუძველი ხდება იმისა, რომ სკოლამ დაგეგმოს სასწავლო პროცესი და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. მეხუთე კლასში შესასწავლი მეორე უცხოური ენის არჩევა ხდება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით, ასევე სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავსირს მეათე კლასში არჩევითი საგნების შესწავლისას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მინუციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
სსიპ - კასპის მინუციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დამრიგებლის დებულება;
სსიპ - კასპის მინუციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის ტრანზიციის დებულება;
სასკოლო პროექტი ეკოლოგიაში.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ, სხვადასხვა საგნობრივი კურიკულუმები, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ გააცნობიერონ საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს; კლასის დამრიგებლებს მე-9 და მე- 12 კლასის მოსწავლეები წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მიჰყავთ ვიზიტით ადგილობრივ ქალაქ კასპის პროფესიულ კოლეჯსა და ტექნო პარკში, ასევე თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ახორციელებენ ვიზიტებს სამხედრო აკადემიაში ან სამხედრო ლიცეუმისა და სამხედრო აკადემიის წარმომადგენლები სკოლაში მართავენ პრეზენტაციებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ასევე ეწყობა მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეების ვიზიტი პროფესიულ სასწავლებელში -კოლეჯი „იკაროსი“, სადაც მოსწავლეები ადგილზე იღებენ სხვადასხვა პროფესიის შესახებ ინფორმაციას. მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. ვიზიტის დროს გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად დადგინდა, რონ სკოლის ადმინისტრაციამ შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით მოახდინა სასკოლო თემის ინტერესების იდენტიფიცირება, სკოლაში მოეწყო შეხვედრა და სკოლის მიერ შეთავაზებული პროფესიების შესახებ მშობლებისგან მიიღეს უკუკავშირი. ასევე ეროვნულ კონფერენციაზე ფართო

აუდიტორიის წინაშე გაზიარდა სკოლის გამოცდილება, მონაწილეობა მიიღეს ასევე STEM გამოფენაზე, აღნიშნული აქტივობის განხორციელების სკოლამ მოახდინა იდენტიფიცირება, თუ რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის დამირებლის დებულება;
პროექტის გეგმა და პრეზენტაცია „ახალი მზე“.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის წესი“. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის 2 ასისტენტი. რომელიც აღწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, ასევე სსსმ სატტუსის მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების, სკოლის ვალდებულებები და სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლებაც.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლა ინკლუზიური განათლების დანერგვისას ხელმძღვანელობს სკოლის მიერ შემუშავებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის წესითა და 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომლებშიც მკაფიოდ არის გაწერილი როგორ ხდება სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება და მისი შეფასების პროცესი. იქმნება ისგ ჯგუფი, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის საჯარო სკოლის სსსმ პირთა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;

სსსმ მოსწავლის ინდივიდუალირი სასწავლო გეგმა;

ისგ ჯგუფის ოქმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა მოსწავლეებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროგრამის ფარგლებში სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს. სკოლას ოპტიმიზაციის შედეგად მიუერთდა სამი სოფლის სკოლა. აღნიშნული სერვისი განკუთვნილია ამ სოფლებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მიდგომები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების — მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, ადმინისტრაციის და ადგილობრივი თემის — აქტიურ მონაწილეობას. მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც იძლევა საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას, გულისხმობს გადაწყვეტილებების მიიღებას ფართო კონსულტაციების საფუძველზე; ეროვნული სტანდარტების სკოლაში გადააზრება ადგილობრივი რეალობის მიხედვით; მაქსიმალურ ფოკუსს მოსწავლის საჭიროებებზე, რაც გულისხმობს მათ ინტერესებზე მორგებულ სასწავლო შინაარსს. სასკოლო საზოგადოების მრავალხმოვანი ჩართვა კურიკულუმის დიზაინში ხელს უწყობს ისეთი სასწავლო პროცესის ფორმირებას, რომელიც გამომდინარეა ადგილობრივი გამოცდილებიდან, რესურსებიდან და კულტურული კონტექსტიდან; მოსწავლეებს მეტი მოტივაცია აქვთ იმ მასალის შესწავლისადმი, რომელიც მათ გამოცდილებას ეხმიანება; ზრდის სანდოობასა და ლეგიტიმურობას, კურიკულუმი, რომელიც საზოგადოების ჩართულობით ყალიბდება, უფრო მეტად მისაღებია სკოლის ყველა წევრისთვის და ეხმარება ინკლუზიურობის მიღწევას. კურიკულუმის შემუშავების ის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება სკოლასთან დაკავშირებული საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებას, ქმნის მდგრად, კონტექსტზე მორგებულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლაში შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმი რეალურად ასახავს სასკოლო საზოგადოების — მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადმინისტრაციის — ინტერესებს, ხედვებსა და საჭიროებებს. ეს მიღწეულია მათი სისტემური და ეტაპობრივი ჩართულობით როგორც კურიკულუმის დაგეგმვის, ისე მის განახლებასა და განხორციელების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში რეგულარულად ტარდება კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები, სადაც მონაწილეობენ სკოლის განვითარების გუნდი, საგნობრივი ჯგუფები და მშობელთა წარმომადგენლები. თითოეული

მონაწილეობითი ეტაპი მიზნად ისახავს საზოგადოების ხედვებისა და მოლოდინების გაერთიანებას საგანმანათლებლო შინაარსთან. მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესი ადგილობრივი თემის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისადმი აისახა როგორც ინტეგრირებულ თემებში, ასევე პროექტულ სწავლაში. მასწავლებლებს აქვთ საშუალება, კურიკულარული ჩარჩოს ფარგლებში, თავად განსაზღვრონ სწავლების გზები, თემატური აქცენტები და მასალები, რაც მათ პროფესიულ თავისუფლებას და კრეატიულ შესაძლებლობებს ავითარებს. ისინი თავად ირჩევენ ინტეგრირების გზებს თემატური სიახლეების, თანამედროვე გამოწვევებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მშობელთა ხედვებიც. ამის მაგალითია მშობელთა ინიციატივით სკოლაში დანერგილი პროექტები გარემოს დაცვაზე, ჯანმრთელობაზე ან სამოქალაქო აქტივობაზე, რომლებიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო მიზნებთან, თუმცა პასუხობს ადგილობრივად დასახელებულ საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა პრინციპს — “მოსწავლე ცენტრში”, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მის აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში, არამედ მისი ინტერესებისა და გამოცდილების პირდაპირ ასახვას სასწავლო შინაარსსა და აქტივობებში. სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვა მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესის რელევანტურობას და ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს იმ საჭიროებების, ღირებულებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას, რომლებიც მომდინარეობს სკოლის შიდა და გარე კონტექსტიდან. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ:
მასწავლებლები, რომლებიც საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში ადგენენ შინაარსობრივ და მეთოდურ პრიორიტეტებს, ავლენენ მოსწავლეთა ინტერესებს და გეგმავენ ინტეგრირებულ პროექტებს; მოსწავლეები, რომელთაც შესაძლებლობა ეძლევათ გამოხატონ საკუთარი ინტერესები, თემატური ინიციატივები და იდეები სწავლების პროცესში; მშობლები, რომლებიც მონაწილეობენ საკონსულტაციო შეხვედრებში, სკოლის განვითარების გეგმაზე დაფუძნებული პროექტების შერჩევასა და მხარდაჭერაში; სკოლის ადმინისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის კოორდინაციას, რესურსების მართვას და საზოგადოების ჩართულობის სტრუქტურიზაციას; საჭიროებისამებრ — ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვისა და ტრადიციული ცოდნის მიმართულებებით. კურიკულუმის შემუშავება წარიმართა ღია ფორმატში — დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, სკოლის სოციალური კონტექსტი, თემის ღირებულებები

და განათლებაზე არსებული მოლოდინები. მიღებული სასკოლო კურიკულუმი არა მხოლოდ სტანდარტების შესაბამისია, არამედ რელევანტურია თემის საჭიროებებისთვის. ამის მაგალითია გარემოსდაცვითი, პროფესიულ და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თემებზე ორიენტირებული პროექტები, რომლებიც დაფუძნებულია მოსწავლეთა აქტიურ კვლევით და პრაქტიკულ მონაწილეობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ ხორციელდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მექანიზმების საშუალებით. ეს პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის გამჭვირვალობას, მიზნების საერთო გააზრებას და პასუხისმგებლობის განაწილებას სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის გაზიარება დაწყებულია გუნდურ დონეზე: სკოლის დირექტორის და კურიკულუმის კოორდინატორის ხელმძღვანელობით, ყველა მასწავლებელი დეტალურად იცნობს სკოლის სასწავლო გეგმას, ჩართულია მის განხილვასა და დაგეგმვაში. სასწავლო წლის დაწყებამდე ტარდება ერთობლივი შეხვედრები, რომელთა მიზანია კურიკულუმის მიზნებისა და კომპონენტების ერთობლივი ანალიზი და შეთანხმება. მოსწავლეებთან კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება ასაკის შესაბამისად ადაპტირებული ფორმით სასწავლო წლის დასაწყისში და პროექტების დაგეგმვისას მათ ეცნობებათ რა მიმართულებები, თემები და უნარები იქნება წლის განმავლობაში ფოკუსში, რის მეშვეობითაც ისინი წინასწარ გეგმავენ საკუთარ მონაწილეობას და პასუხისმგებლობას. მშობელთა ჩართულობა და ინფორმირებულობა ხდება მშობელთა კრებების, თემატური პრეზენტაციების და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით, რათა მშობლებს ჰქონდეთ წვდომა სკოლის პრიორიტეტებზე, პროექტებზე და საგნობრივი მიმართულებების სიახლეებზე.

კურიკულუმის გაზიარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლისა და თემის თანამშრომლობის გაძლიერებაში. თემის წარმომადგენლები პერიოდულად მონაწილეობენ საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და საკლასო აქტივობებში, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ ნახონ, როგორ რეალიზდება სასკოლო კურიკულუმი პრაქტიკაში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრის ოქმები;
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
სამეურვეო საბჭოს ოქმი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე ერთობლივი მსჯელობით და წინა წლის შედეგების გაანალიზებით შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კარგათ აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებით სწავლების მიდგომები და საფეხურებრივი შედეგები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	2024-2025 სასწავლო წლის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას.

უცხოური ენები	როგორც პირველ (ინგლისური ენა), ასევე მეორე (გერმანული ენა , რუსული ენა) უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. თემატური ბლოკების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობები.
ესთეტიკური აღზრდა	თითოეული თემა მუსიკასა და ხელოვნებაში მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზეა ორიენტირებული. ასევე სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები საკმაოდ დიდ შემოქმედებით დიაპაზონს მოიცავს და სხვადასხვა ინტერესის თუ შესაძლებლობის მოსწავლის ჩართულობას ითვალისწინებს. პრაქტიკული ნაწილი, დასაწერი ტექსტები, მოსამზადებელი პრეზენტაციები ერთი მხრივ შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ არის მიმართული, მეორე მხრივ კი არჩევანის, თავისუფალი აზრის გამოთქმის, განსხვავებული ხედვით თუ ექსპერიმენტების გზით შექმნის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების მიხედვით ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური

	მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.
მათემატიკა	წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე, რომელიც შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს მათემატიკის საგნობრივ მოთხოვნებს, კერძოდ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას.
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების კურიკულუმის II VI კლასის ჩარჩო - ცხრილები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები.

	კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა–სახლისა და ეზოს მაკეტის შექმნა სივრცული ფიგურებით; ქართული–დიორამის შექმნა; მე და საზოგადოება–ბუკლეტის დამზადება;ბუნებისმეტყველება –მზის სისტემის მოდელის შექმნა), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლების პროცესი მიმდინარეობს საგნობრივად, ისინი მაინც ახერხებენ ინტეგრირებული პროექტების განხორციელებას თუ გაკვეთილების ჩატარებას. რჩევა: სასურველია, თითოეულ საგანში შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები, სადაც ჩანს გამოყენებული აქტივობები, თან ერთვოდეს კურიკულუმების ჩარჩოს. ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმის თემების გაწერისას იხელმძღვანელონ სტანდარტით; ქართულისა და მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ რესურსები და ქვეცნებები. ქართულის კურიკულუმში შინაარსობრივად გაასწორონ საკითხისა და კონტექსტ–მაგალითის სვეტი

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური, ან დაკომპლექსური ტიპის დავალებები. მოწოდებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილია ისეთი შემოქმედებითი/კომპლექსური ბუნების დავალებებით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილი საგნობრივი კურკიკულუმების ჩარჩოებზე დაყრდნობით გეგმავენ ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების სასწავლო პროცესში გამოყენებას როგორიცაა: თვითშეფასება, შედეგების პროგნოზირება, მსჯელობა, უკუკავშირი, გადამოწმება, ასევე მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიები და განმავითარებელი შეფასება.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი (I-IV კლასები), ჟანრი (V-XII კლასები), სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები - (I-XIIკლასები), კულტურათა დიალოგი (V-XII კლასები). კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმები ნაწილობრივ აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. თუმცა, ხელოვნებაში ცნებების გრაფაში მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიბული ყველა ცნებაა ჩასმული და არ არის შერჩეული

	კონკრეტული ქვეცნებები რაც კონკრეტულად იმ თემის დამუშავებისთვის არის საჭირო. ასევე, დაწყებით საფეხურზე, ხელოვნების კურიკულუმებში არ არის მითითებული თემატური ბლოკები. ზოგიერთი თემის მაგივრად კი, თემატურის ბლოკის სახელწოდებაა მითითებული. ხელოვნებაში, დაწყებით საფეხურზე, ასევე არ არის მკაფიო თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი შეიქმნება თემის ფარგლებში, ვინაიდან შემოქმედებითი პროდუქტის იდეის ნაცვლად ბავშვების მიერ თითოეული გაკვეთილის ფარგლებში შესასრულებელი აქტივობები თუ დავალებებია ჩამოთვლილი. დაწყებით საფეხურზე, ხელოვნებაში ყველგან მხოლოდ სამი თემა აქვს მასწავლებელს ჩასმული, რაც ცოტაა დაწყებითი საფეხურისთვის. რჩევა: ხელოვნებაში, დაწყებით საფეხურზე, თითეულ თემასთან მიეთითოს , თუ რომელი თემატური ბლოკის ფარგლებში ხორციელდება. ზოგიერთ თემას, რომელსაც თემატური ბლოკის სახელი ჰქვია სასურველია შეეცვალოს დასახელება, აუცილებელია თითოეული თემისთვის გაიწეროს იმ თემის ფარგლებში დასამუშავებელი კონკრეტული ცნებები და ქვეცნებები, რომლებიც მხოლოდ იმ თემას მიემართება. მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი პროდუქტი. დაწყებით საფეხურზე, ხელოვნებაში, გაიზარდოს თემების რაოდენობა.
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები სამივე საფეხურზე.

მათემატიკა	ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამის ველში მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. რჩევა: კურიკულუმებში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, აგრეთვე, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე.
სპორტი	სამივე საფეხურზე წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სამიზნე ცნებები და შედეგები);
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება ესგ-ს ყელა შედეგი და სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, პროგრამული კოდი (ალგორითმი), ინფორმაცია, ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა. კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება.სწავლება

	ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში მითითებული სასწავლო რესურსების გარდა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კარგად ფლობენ სახვადასხვა ტექნოლოგიებს და სასწავლო პროცესშიც იყენებენ. თუმცა ჯერ არ აქვთ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული რესურსები. სკოლის დირექტორ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საბუნებისმეტყბველო ლაბორატორიის განახლებისთვის.. მანამდე მასწავლებლები იყენებენ ძველ, თუმცა გამოყენებად რესურსებს-- მულაჟებს და მიკროსკოპებს;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით თითოეულ თემასთან და საკითხთან მიმართებაში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები (მაგ: სახელმძღვანელო, ვიდეორგოლი, ტელესკოლის გაკვეთილი, ამბავი,youtube-ის საგანმანათლებლო რესურსები) ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რაც უზრუნელყოფს სწავლის შედეგის მიღწევას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხოური ენების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, მ.შ. საგანმანათლებლო რესურსი. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რესურსები ირჩევა

	პედაგოგების აქტიური თანამშრომლობით სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესში. ყველა რესურსი საგულდაგულოდ არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი შერჩეულია უცხოური ენების კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	ვინაიდან, თითოეულ საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოებია შერჩეული, ეს რესურსი ცხადია უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, დამატებითი რესურსებიც, მაგ., ტელესკოლის გაკვეთილები და სხვა. უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების სამივე საფეხურზე.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო,სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას . სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის

	დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხალისიანად წარმართვას და მოსწავლის მაღალ შედეგებზე გაყვანას საფეხურების მიხედვით.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები (თამაშის ბმულები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები), რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. რჩევა: სასურველია, თითოეული საგნის კურიკულუმს დაემატოს მეტი რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე დიფერეცირებულ მიდგომებზე ნარატივის სახითაა მოცემული კითხვარში, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებულ გაკვეთილის გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლის მხრიდან, კურიკულუმში სასურველი

	იქნებოდა მოდიფიცირებული კომპლექსური დავალების ჩვენება. თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მოდიფიცირებას პროცესსშიც ახორციელებენ მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე სკოლა აღნიშნავს, რომ ჰყავს სსსმ მოსწავლეები და მათვის ინგ -ის მიხედვით ახორციელებს კომპლექსურების მოდიფიცირებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ჩანს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, როგორც თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სამივე საფეხურზე სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. კოგნიტური და შემეცნებითი უნარების ან საჭიროებების დასადგენად მასწავლებლების ნაწილი ატარებდა ე.წ. სადიაგნოსტიკო კვლევას, რომლის შედეგების ანალიზზეც მასწავლებელი გამოკვეთდა სხვადასხვა კოგნიტური უნარებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რომელთა გაკვეთილში სრულფასოვნად და აქტიურად ჩასართველად ადგენს სხვადასხვა დონის დავალებებს. კათედრას სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს ისგ.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის. უცხოური ენების კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს განსხვავებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლებს არ ქონდათ ატვირთული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ეს გეგმები არც ახლა მაქვს ხელთ, თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა რომ

	მათ თითოეული მოსწავლისთვის აქვთ გაწერილი ისგ. ინტერვიუდანვე გახდა ცნობილი რომ მუსკის და ხელოვნების მასწავლებელი მრავალფეროვან დიფერენცირებულ მეთოდებს იყენებენ, რაშიც ამ საგნების სპეციფიქაც ძალზე უწყობთ ხელს სამივე საფეხურზე.
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმში, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას, გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სკოლის მესვეურთა და საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სახელმწიფო ენის კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვი ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის

	შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში სამივე საფეხურზე.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესს და აქტივობებს გეგმავენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა.ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე,რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას.რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ყველა საგანში კომპლექსური ბუნების დავალების საფუძველზე აკეთებენ სწავლის შედეგების ანალიზს, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული მიდგომების რეგულარულ გამოყენებას. დაწყებით საფეხურზე ჰყავთ 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ამიტომ მასწავლებლებს საგნების მიხედვით შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რაც წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე რუბრიკით. განმავითარებელი შეფასებისთვისიყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს სამივე საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით. თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი.
უცხოური ენები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). საფეხურების მიხედვით დამატებით წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისადა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ და წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

ესთეტიკური აღზრდა	უმეტესად, მუსიკის და ხელოვნების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სწორედ მას ეფუძნება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არის ძალზე ზოგადი და ამიტომ სრულად ვერ უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა თუ ამოცანებს სამივე საფეხურზე. რჩევა: აუცილებელია უფრო კონკრეტული, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაფუძნებული და ამა თუ იმ დავალების ტიპზე (მაგ., ესსე, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, პრეზენტაცია და სხვა.) მორგებული რუბრიკების შემუშავება.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სწავლებისას სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას.
მათემატიკა	წარმოდგენილი რუბრიკები სამივე საფეხურზე ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად, თუმცა, სასურველია, რომ ეს პრაქტიკა გავრცელდეს ყველა იმ დავალებაზე, რომელსაც შეიტანენ მომავალი წლის კურიკულუმში. თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.

სპორტი	მასწავლებელი ფლობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი სამივე საფეხურზე.
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საფეხურზე წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. რჩევა: სასურველია, თითოეული საგნის მასწავლებელმა შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
საგნობრივი კურიკულუმები;
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
ისგ (მე-9 კლასი: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
ინტეგრირებული პროექტები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და განხორციელებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ბუნებისმეტყველებისა, ბიოლოგიის, ქიმისა და ფიზიკის კურიკულუმებში სწორად არის გაწერილი სავალდებილო თემები, მათ შესაბამისად საკითხვები და შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაზე და შეფასებაზე საკმაოდ დეტალურად ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს. ასევე წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები ცალკე ცხრილის სახით სამივე საფეხურზე;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, ისგ, განხრციელების ფოტოსურათები) და პედაგოგებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე (და ზოგადად სკოლაში) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი სამივე საფეხურზე ხდება ცვლილებების შეტანა. .
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის სასწავლო პროცესი ნაწილობრივ დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, ხელოვნებაში კურიკულუმში ასახული თემები უმეტესად კურიკულუმის შესაბამისად არ ხორციელდება. რჩევა: სასურველია ხელოვნებაში კურიკულუმში ასახული ყველა თემა განხორციელდეს კურიკულუმის შესაბამისად.

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი სკოლის სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.
მათემატიკა	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის სამივე საფეხურზე.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას სამივე საფეხურზე. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატა პედაგოგმა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო

	რესურსები და აქტივობები. სასწავლო პროექტები - ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. ყველა კლასში ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი დავალებები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს სისტემურ მიდგომას მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა საჭიროებების დროულად გამოვლენისა და მათზე რეაგირების თვალსაზრისით. სკოლაში ჩამოყალიბებულია ღია კომუნიკაციის და უკუკავშირის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს შემხვედრი საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. სკოლა ეფექტურად რეაგირებს ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროება, მასწავლებლის დროებითი არყოფნა, ინფრასტრუქტურული შეფერხება ან სხვა ორგანიზაციული საკითხები. სკოლა ასევე რეაგირებს ინდივიდუალური მოსწავლის ფსიქო-სოციალურ საჭიროებებზე. თანამშრომლობს მშობლებთან, ფსიქოლოგთან.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული საგნის ან კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, რომლის შედგენაშიც მასწავლებლები, რომლებიც დეტალურად აცნობენ მოსწავლეებს, როგორ, რა კომპონენტებისა და აქტივობების მიხედვით შეფასდებიან.

	სამივე საფეხურის შეფასების კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ, ინფორმირებულნი არაინ მშობლები. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად III, IV, V (პირველ სემესტრში) კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმავითრებელი შეფასებით V კლასის მეორე სემესტრში და VI კლასში განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, განმავითარებელი შეფასებას მოსწავლეებს აძლევენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია,საქართველოს ისტორია გეგოგრაფია, მოქალაქეობა, პროქტული სწავლება მოქალაქეობაში) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით (კონკრეტული საკითხისთვის).

უცხოური ენები	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ (V კლასის მე-2 სემესტრი და VI კლასი) და განმავითარებელ შეფასებებს. უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კათედრა იყენებს შეფასების სქემებს ამა თუ იმ აქტივობებისთვის, მაგალითად, დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატისა და სხვა დავალებისთვის. შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების დონის განსაზღვრას. მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მონაწილეობენ შეფასების პროცესში (თვითშეფასება). სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტით კონტროლდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხიც. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასება აღწერს მოსწავლის განვითარების დინამიკას, ცოდნის კონსტრუირების პროცესს. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პედაგოგები მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობენ შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. შემოქმედებითი დავალების პირობას შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რაც განაპირობებს მის გამჭვირვალობას
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლების მიერ გამოგზავნილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ უმეტესად ზოგადია. რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკები იქმნებოდეს კონკრეტული დავალებისთვის და ეყრდნობოდეს შესაბამის ცნებებსა და ქვეცნებებს.

სახელმწიფო ენა	სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწეევები.
მათემატიკა	კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს.შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკები შესაბამისია ასაკის. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით სამივე საფეხურზე.
სპორტი	სრულად დამაკმაყოფილებელია საგნის შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე, არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტიც.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს მმართველობითი პროცესების შეფასების სისტემა, რომელიც პერიოდულად გადის ვერიფიკაციას როგორც სკოლის შიდა ჯგუფის, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების სანდოობას, გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით
   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და ინდიკატორის მოთხოვნა ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
4. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
5. ისგ (მე-9 კლასი: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);
6. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;

7. ჩატარებული ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე;
9. შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები, ისგ, ინტეგრირებული პროექტები;კათედრების სხდომის ოქმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმრე სასწავლო რესურსები, ასევე იყენებენ სხავადასხვა კომპიუტერულ ტექნოლოგიებს მაგ. Quizziz., Kahoot თუმცა საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტები არ არის სრულად აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიით, სკოლის დირექტორ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საბუნებისმეტყბველო ლაბორატორიის განახლებისთვის..
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი თითოეული კურიკულუმი განსაზღვრავს სავალდებულო თემისა და თემასთან დაკავშირებული საკითხებისთვის ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსს. კათედრას ძირითად რესურსად წარმოდგენილი აქვს სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა მასალა (მათ შორის ელექტრონული და სოც. ქსელის გამოყენება). პედაგოგებმაც დაასახელეს და დაადასტურეს ფოკუსჯგუფის ინტერვიუს დროს მისი გამოყენება სასწავლო პროცესში.

უცხოური ენები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების ფორმა, რომლებიც მოიცავს ძირითადი და დამხმარე რესურსების ველებს. საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი რესურსია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები აგრეთვე იყენებენ თვალსაჩინოებებს, პლაკატებს, მაკეტებს.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, როგორც ინტერვიუდან დადგინდა დამატებთი რესურსები უმეტესწილად გამოიყენება სასწავლო პროცესში.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი საბაზო და საშუალო). სწავლების პროცესში გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი.
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმში გაწერილი დამხმარე რესურსები და მათ გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს რამაც შესაძლებელია მოსწავლეებიმა უფრო ხალისიანათ ჩაერთონ სასწავლო პროცესში
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების ბანკი - ელექტრონული რესურსი school.emis.ge, scratch.mit.edu, ასევე სხვა ვიდეო რესურსი, რომელიც შეესაბამება შესასწავლ საკითხის, მიზანს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სწავლების დროს მასწავლებლები, ძირითად შემთხვევაში, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (მაგ. სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა/ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა პასუხისმგებელია იმაზე, რომ დამხმარე სასწავლო რესურსები (მაგალითად, სამუშაო რვეულები, დიაგრამები, კარიკატურები, რუკები, ელექტრონული და სხვა დამხმარე სასწავლო მასალა) გადამოწმდეს, შეფასდეს და დადასტურდეს მათი სისწორე, ხარისხი და შესაბამისობა სასწავლო პროგრამასთან სამივე საფეხურზე.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და იგი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ყოველკვირეულ შეხვედრებზე განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობასა და ეფექტიანობას, რაც აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. შეესაბამება საგნების - მუსიკისა და ხელოვნების სპეციფიკას. სრულ კავშირშია ამ საგნების თემებსა და საკითხებთან, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით თვალსაჩინოა, რომ სკოლა სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულებით სწავლების სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეს დასტურდება გაკვეთილების შეფასების ფორმებითა და ანალიზით. ასევე ონლაინრესურსების, დამხმარე ლიტერატურისა და ანიმაციების გამოყენებით.
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება.
სპორტი	როგორც ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს სკოლა ნამდვილად უზრუნველყოფს სამივე საფეხურზე რესურსების ვალიდაციას
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს კონკრეტული მიზნის შესაბამის დამხმარე რესურსს. კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის ძირითადად, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება საგნობრივი კათედრების შეხვედრაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურისათვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არ აქვს უზრუნველყოფილი საჭირო რესურსებით, მაგრამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით ლაბორატორიის აღჭურვა განსაზღვრული აქვს 03/04/2025 წ -03/04/2026 წ. პერიოდის განმავლობაში. რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში სათანადოდ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მატერიალური რესურსებით შევსება და მისი სრულყოფილი მოწყობა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე უზრუნველყოფილია
უცხოური ენები	სკოლა არის უზრუნველყოფილი უცხოური ენის სწავლებისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალური რესურსით სამივე საფეხურზე.
ესთეტიკური აღზრდა	გასაუბრებით დადგინდა რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მუსიკასა და ხელოვნებაში უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით.
სახელმწიფო ენა	სწავლების პროცესისათვის სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულების სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. სასწავლო გარემოს, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ონლაინრესურსების მეშვეობით მიიღწევა კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის.
სპორტი	ვიზიტის დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ სამივე საფეხურზე სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი, რათა თემები უფრო გააამრავალფეროვნონ და გაახალისონ საფეხურების მიხედვით
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ინტერნეტში ჩართული ლეპტოპებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით გათვლისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში ადამიანური რესურსი სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. მასწავლებელთა შტატები დაკომპლექტებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საგნების სპეციფიკას. ადამიანური რესურსის კომპეტენტურობა, კვალიფიციურობა და რიცხობრივი საკმარისობა ქმნის პირობებს სკოლაში ხარისხიანი, მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად. ეს რესურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და სკოლის შიდა სტრატეგიის პრაქტიკაში გადმოსატანად.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
2. საგნობრივი კურიკულუმები.
3. ისგ (მე-9 კლასი: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა).

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: ფოტომასალა, მასწავლებლებთან გასაუბრება; სხდომის ოქმები, ამავე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, რესურსების ჩამონათვალი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლაში შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი სრულად ეყრდნობა კურიკულუმით დადგენილ მეთოდოლოგიას. მასწავლებლები რეგულარულად იყენებენ ფორმატულ და შემაჯამებელ შეფასების ინსტრუმენტებს, რაც საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ მოსწავლის პროგრესს, გამოავლინონ სირთულეები და დროულად მიუთითონ გამოსასწორებელ მიმართულებებზე. შეფასების შედეგები სისტემატურად განიხილება პედაგოგიურ საბჭოსა და შესაბამისი სამეურვეო ჯგუფების მიერ, რათა სკოლამ უზრუნველყოს სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში აღმოცენებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. მონაცემების საფუძველზე სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია ახდენენ საჭირო კორექტირებებს სასწავლო გეგმაში, სასწავლო მეთოდებში და ინდივიდუალური მიდგომების პროვაიდერობაში. შესაბამისი შედეგები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და სკოლის მართვის გუნდთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების სისტემურ პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სისტემურ ხელსაწყოს, რომელიც ეხმარება როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსა და მშობლებს სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და წარმატების მიღწევის ხელშეწყობაში. შეფასების შედეგები გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად, პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისთვის და მშობლების ინფორმირებისთვის. სკოლაში ეწყობა რეგულარული შეხვედრები, სადაც განხილული ხდება მიღწევები და არსებული გამოწვევები, რითაც უზრუნველყოფილია ყველა მხარის ინფორმირებულობა და მხარდაჭერა.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
პედსაბჭოს სხდომის ოქმი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სასკოლო სასწავლო გეგმა ;
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისთვის ;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
სასკოლო პროექტი;
ვერიფიკაციის წესი;
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლაში მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების გამოყენებით: მოსწავლეთა დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება და მშობლების უკუკავშირი. ეს მრავალმხრივი შეფასება უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების ობიექტურ და სრულყოფილ შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწიებით

სკოლაში შეფასების პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული კონტექსტს. მოსწავლეთა მიღწევები ფასდება როგორც კლასში, ისე პრაქტიკულ გარემოში — პროექტებში, ჯგუფურ მუშაობაში და თემის ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით. შეფასება ასევე არეგულირებს ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს სამართლიან და შემოქმედებით განათლებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლის შეფასებისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: დაკვირვება, ინტერვიუები, ტესტები, პრეზენტაციები, პროექტები და თვითშეფასება. ეს მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის ყოვლისმომცველ და ობიექტურ შეფასებას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესში ითვალისწინებენ არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებს, არამედ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, მოტივაციას, აქტიურობასა და კომუნიკაციურ უნარებს. ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების საჭიროებები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ეს მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიან და სრულყოფილ შეფასებას, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესში წარმატების მიღწევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისთვის;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
სასკოლო პროექტი;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და ინდიკატორის მოთხოვნა ვერ შეფასდა.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და ინდიკატორის მოთხოვნა ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 08.08.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Nana Saralidze 18001057953

Digitally signed by Nana Saralidze
Date: 2025.08.08 21:59:38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: